

საბანკო მომსახურების პირობების დანართი N20 – „საპენსიო ბარათის“ სტანდარტული პირობები

1. საპენსიო ბარათი (შემდგომში - ბარათი) არის პლასტიკური საბანკო სადებეტო ბარათი, რომლის ანგარიშზეც შესაძლებელია კლიენტის ფულადი სახსრების განთავსება.
2. ბარათით სარგებლობის საკომისიოები:

საკომისიოს დასახელება	საკომისიოს მოცულობა
ძირითადი ბარათის ყოველწლიური საკომისიო:	0 ლარი.
დამატებითი ბარათის ყოველწლიური საკომისიო:	3 ლარი.
ადგილობრივ/საერთაშორისო სავაჭრო ობიექტებში გადახდის ოპერაციების საკომისიო:	0%.
ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის საკომისიო:	ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
ბარათთან დაკავშირებული ანგარიშის მომსახურების საკომისიო:	0 ლარი.
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის განმავლობაში:	საქართველოს ბანკის ბანკომატსა და სერვის-ცენტრში და საქართველოს სხვა ბანკის ბანკომატში - 0%. საზღვარგარეთის ბანკის ბანკომატში - 2%.
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის შემდეგ:	ა) საქართველოს ბანკის/Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების სერვისცენტრში - 0.6% მინ. 0.5 ლარი; ბ) საქართველოს ბანკის ბანკომატში - 0.2% მინ. 0.2 ლარი; გ) Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატში - 0.5% მინ. 0.2 ლარი; დ) სხვა ბანკის სერვისცენტრში და ბანკომატში - 2% მინ. 3 აშშ დოლარი.

3. ბარათზე დაშვებული ოპერაციები:
 - თანხის განაღდება;
 - სავაჭრო ობიექტებში თანხის გადახდა;
 - თანხის ჩარიცხვა;
 - თანხის გადარიცხვა;
 - თანხის შეტანა;
 - ინტერნეტ გადახდები.
4. დადებით ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის განმავლობაში:
 - საბარათე ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება სარგებელი შემდეგი პირობით:
 - 10 ლარზე მეტი ნაშთის შემთხვევაში - წლიური 10%;
 - სარგებელი ირიცხება ნაშთზე, რომელიც განთავსებული იყო შესაბამის ანგარიშზე ზედიზედ არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მანძილზე;
 - სარგებელი ირიცხება საბარათე ანგარიშზე.
5. ბარათის მოქმედების პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს ბარათის პირობები (მათ შორის საკომისიოს ოდენობა და ა.შ.).
6. წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ურთიერთობის ფარგლებში, მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესების შესაბამისად.